ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა


თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის შენობის შესახებ



თბილისი

იანვარი 2017წ.

თბილისი ცნობილია, როგორც დედაქალაქი-კურორტი. მის ტერიტორიაზე გამოსავალს პოულობს უნიკალური მაღალდებიტიანი თერმული სულფიდური წყალი; გარდა ამისა, ქალაქის საზღვრებში მოქცეულია ფიზიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლებითა და სამკურნალო თვისებებით გამორჩეული არაერთი მნიშვნელოვანი კლიმატური კურორტი და დასასვენებელი ადგილი.




თბილისის ხედი XVIII ს. მხატვარი ჟ. ტურნეფორი, 1701წ.

ძველი თბილისის შუაგულში, აბანოთუბნისა და ორთაჭალის საზღვარზე, მიწის ზედაპირზე რამდენიმე ადგილას ცხელი გოგირდიანი წყალი ამოდის. ამ წყაროებთან არის დაკავშირებული თბილისის დაარსების ისტორიაც. ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით, საუკუნეების წინათ, როდესაც ქართლის დედაქალაქი მცხეთა იყო, ხოლო თბილისის ქვაბული ველური ბუნებითა და სანადირო ადგილებით გამოირჩეოდა, მეფე ვახტანგ გორგასალი ნადირობისას ტყეში შემთხვევით წააწყდა ცხელ წყაროს, რომელშიც მისი შავარდენი ნანადირევ ხოხობთან ერთად ჩაიფუფქა. მეფეს იმდენად მოეწონა ეს საკვირველი წყაროები, რომ ბრძანა, მის ადგილზე აეშენებინათ ქალაქი, რომელსაც შემდგომ თბილი წყლების გამო „ტფილისი“, 1936წ. - თბილისი ეწოდა. წყაროებზე მალე გაშენდა გოგირდის აბანოები, რომლებიც ახლაც მოქმედია, მიმდებარე ტერიტორიას კი დღემდე აბანოთუბანი ჰქვია.

აბანოთუბანი თბილისის უძველესი ნაწილია, სწორედ ამ ადგილზე წარმოიშვა დედაქალაქის პირველი დასახლება. ამ უბანს და მიმდებარე ტერიტორიას „საკუთრივ ტფილისს“ უწოდებენ. იგი უშუალოდ ემიჯნება ქალაქის ციხეს - კალას, აბანოების

უბანში და მის მიმდებარე სეიდებადში (დასახლება გვიანდელია) შუა საუკუნეებში უმეტესად სპარსებლები სახლობდნენ. ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს, რომ ***„ტფილისს დის ცხელი წყალი კლდიდამ, არს მით აბანო ექვსნი... აქ დასხა შახსეფიმ სეიდინი, მის გამო სპარსნი უწოდებენ სეიდაბადს“.*** და შემდეგ ***„არიან მსახლობელნი და სეიდაბადს სპარსნი მაჰმადიანნი“.***

ვახუშტი ბატონიშვილი აბანოების უბანს სეიდაბადის ერთ ნაწილად წარმოგვიდგენს. პორუჩიკ ჩუიკოს მიერ შედგენილ 1800 წლის გეგმაზე კი მხოლოდ აბანოების უბნებია ნაჩვენები, რადგან სეიდაბადის დანარჩენი ტერიტორია ამ დროისთვის დასახლებული აღარა ჩანს და მთლიანად ბაღებითაა დაფარული.



ილუსტრაცია 8. თბილისის გეგმა, შედგენილი 1800 წელს ვ.ჩუიკოს მიერ.

თბილისის აბანოები იხსენიება ძველ საბუთებში და მოგზაურთა აღწერებშიც. მე-10 საუკუნის არაბი გეოგრაფოსის აღწერით „აქ წყალი უცეცხლოდ დუთს“ ყაზანელი სოვდაგარის ვასილი გაგარა, რომელიც თბილისში გავლით იყო მე-17 საუკუნის 30-იან წლებში, გვატყობინებს "...а божиим созданием тех горячих колодезов есть за 60. И над колодезями ученены палаты вельмо красные, а в тех горячих ккколодезях моютца за за бани место христиане и бусермане,и трурца кисеями, а не вениками, а веников не знают".

ვახუშტი ქალაქში ექვს აბანოს ითვლიდა. როგორც ჩანს, ზოგიერთი მათგანი აღა-მაჰმად-ხანის შემოსევებს შეეწირა, რადგან 1800 წლის გეგმაზე მხოლოდ ოთხი აბანოა ამ უბანში აღნიშნული. მე-19 ს-ის შუახნის თბილისის გეგმაზე კვლავ ექვსი აბანოა დატანილი. საინტერესო ცნობებს ვპოულობთ მეფე გიორგი მეთორმეტის ერთ-ერთ სიგელში, სადაც, სხვათა შორის, მეითარისა და ბებუთის აბანოების ერთგვარი ლოკალიზაციაა მოცემული. ბებუთას აბანო მეითარის აბანოს დასავლეთით, თაბორის მხარეს ყოფილა. როგორც XIX ს-ის გეგმებიდან ირკვევა, ციხის კართან ყველაზე ახლოს თბილისის (სიონის) აბანო იყო განლაგებული. მას გვიან ერეკლეს აბანოსაც უწოდებდნენ.




აბანოთუბანი, ფრანგი მხატვარი მუანე 1860-იანი წ.

მის დასავლეთით, ოდნავ მოშორებით კი მელიქის აბანო მდებარეობდა. ძველ აბანოთაგან, ერეკლეს აბანოს გარდა, აღნიშნულია მეითარის (XVII ს-ის I ნახ.), ენალას (XVII ს.), გრილი აბანო (XVII ს.), ბებუთასი (XVII ს.). მეითარის აბანოს სუმბათოვისა ეწოდება. გრილ აბანოს, რომელიც მტკვრის სიახლოვეს მდებარეობდა შიოევის აბანოსაც უწოდებდნენ. აბანო იყო ციხის გალავნის შიგნითაც ე.წ. „ხოჯას“ აბანო. ეს ის აბანოა, სადაც აღა-მაჰმად-ხანს განკურნება უცდია და გაცბუნებულს მისი დანგრევა უბრძანებია.

აბანოების სახელები ხშირად მისი მფლობელის სახელიდან ან თანამდებობიდან გამომდინარეობდა. ამიტომ იცვლიდა ხოლმე აბანო სახელწოდებას იმის მიხედვით, თუ ვის მფლობელობაში იყო იგი. აბანოს სახელწოდება მისი დამახასიათებელი თავისებურებიდანაც მოდიოდა (გრილი აბანო, პეტრუქის აბანო). ენალა ქალაქის მელიქი იყო 1655-1672წწ. მას ხელახლა აუშენებია აბანო და წყალი დაუთხანის აბანოდან გამოუყვანია. ზოგიერთი მკვლევარი ენალას აბანოდ XIX ს-ში მირზოევის აბანოდ წოდებულ შენობას მიიჩნევს, რომელიც მირზოევამდე ზუბალაშვილს ეკუთვნოდა. ბებუთას აბანო კი დღევანდელი ე.წ. საგარნიზონო აბანო უნდა იყოს. აბანოებს ძირითადად ირანული არქიტექტურის კვალი აჩნიათ (ეს XVII ს-ის თბილისის არქიტექტურის ნიშანდობლივი თვისებათაგანია). XIX ს-ის II ნახევარში აღმოსავლურ ყაიდაზე გადაკეთდა ე.წ. „ჭრელი აბანო“.

სახელწოდება მან მიიღო სხვადასხვა ფერის ფილებისაგან, რომლითაც მოპირკეთებულია მინარეთისმაგვარი კოშკებით დაგვირგვინებული მისი პორტალი.






ძველი თბილისის აბანოებს მხოლოდ ჰიგიენური დანიშნულება როდი ჰქონდათ. ისინი გარკვეულად საზოგადოებრივ დანიშნულებასაც ასრულებდნენ. იოსებ გრიშაშვილი წერდა: *„წინათ აბანო მსურველთათვის ღია იყო. ხალხს გათენებამდე შეეძლო შიგ ყოფნა. აბანო ზოგჯერ ჩამოსული გლეხებისთვის სასტუმროს დანიშნულებასაც ასრულებდა. საქონელს ბაკში მირეკავდა, თვითონ კი, განბანილ-განსპეტაკებულს, ორშაურად მთელ ღამეს აბანოში არხეინად ეძინა... აბანოში ქალები მთელი დღით რჩებოდნენ და სადილობდნენ კიდეც... მერე ჩაის სმა იწყებოდა... ეს იყო მათი კლუბიცა და თეატრიც. გარდა ამისა, ქალებს საშუალება ეძლეოდათ აბანოში გამოეფინათ თავიანთი ტუალეტები და ძვირფასი საშუალებები... ქალს ახალი ტანისამოსი უეჭველად აბანოში უნდა ჩაეცვა... რასაკვირველია, მაჭანკალი ქალები არც აბანოში ივიწყებდნენ თავიანთ პროფესიას. ბევრი ამაზი ქალის ბედი გადაწყვეტილა აბანოში, ბევრი სანდომიანი „ქალი და რძალი“ გაბედნირებულა და ბევრი ფიზიკური ნაკლიც აღმოჩენია გატიტვლებულ ქალს“.*



აბანოში დროსტარება ხშირად ფინალი იყო თბილისელი მოქეიფე ბოჰემისათვის. ბაღებში დაწყებული ქეიფი აბანოებში მთავრდებოდა ხოლმე.

თბილისის აბანოებში თითქმის ყველა მოგზაური და ქალაქის სტუმარი განბანილა. უკლებლივ ყველა მათგანის აღტაცებით აღწერს ამ აბანოების მშვენიერებას და მადლიერებას გამოთქვამს მექისეთა ოსტატობის მიმართ.





აღტაცებით აღწერდნენ თბილისის აბანოებს სახელგანთქმული მწერლები და პოეტები. დიდმა რუსმა პოეტმა ალექსანდრე პუშკინმა 1829წ. იმოგზაურა საქართველოში და თავისი ნაწარმეობის „მოგზაურობა ერზრუმში“ რამდენიმე თავი მიუძღვნა თბილისს და თავის შთაბეჭდილებებს თბილისურ აბანოებზე.





1858წ. საქართველოს ეწვია გამოჩენილი ფრანგი მწერალი ალექსანდრე დიუმა, რის შესახებაც შესანიშნავად გადმოსცემს წიგნში „კავკასია“.





BIBLJOTEKA HISTORYCZNA J. Sz.

MATEUSZ GRALEWSKI.

KAUKAZ

WSPOMNIENIA Z DWUDZIESTOLETNIEJ NIEWOLI

Zeszyt I.

LWÓW.

1877.

დიუმა აღტაცებულია აბანოების სისუფთავით და მომსახურების ხარისხით ისე, რომ ამბობს: ***„როგორ მოხდა, რომ პარიზში, ამ გრძნობიერ სიტკბოებათა ქალაქში ჯერ არავინ შემოიღო სპარსული აბანო? ნუთუ ვერც ერთმა კომერსანტმა ვერ გამოიწრეა თბილისიდან ორი მექისე? თან ფილანტროპიულ მიზანს განახორციელებდა, და რაც უეჭველია აურაცხელ სიმდიდრეს დააგროვებდა.“***

განსაკუთრებულად აკვირვებს ფრანგ მწერალს აბანოში ქართველი ქალების ქცევა, რომლებიც სრულიად არ ერიდებიან სტუმარს და განაგრძობენ თავიანთ საქმიანობას, რაც დიუმასთვის კავკასიელი ქალების მოულოდნელი სითამამის და თავისუფლების მანიშნებელია.



„ეტყობოდა, იმ ქალებისთვის ეს არ იყო ისეთი სიურპრიზი, როგორც ჩვენთვის, რადგან სრულიად არ ეტყობოდათ გაკვირვება. მე ცოტა არ იყოს, სინანულით შევატყე, რომ ჩვენმა გავლამ ამ ქალებზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა.... ამ საერთო აბანოში 50-მდე ქალი იბანდა, ზოგს პერანგი ეცვა, ზოგი უპერანგო იყო, ზოგი იჯდა, ზოგიც იჯდა. ზოგი იცვამდა, ზოგი კი იხდიდა. ეს ყველაფერი იძირებოდა ორთქლში, რომელიც იმ ღრუბელს ჰგავდა, ენეოსს რომ ხელს უშლიდა დედამისი ეცნო...“

ასევე მნიშვნელოვანი იყო აბანოთუბანი ქალაქის ბოჰემისთვის დროსტარების კუთხით. თბილისელი ყარაჩოღლები, თავადაზნაურობა თუ რიგითი მოქალაქეები აბანოს სტუმრობისას ჰიგიენით იწყებდნენ და ქეიფში ამთავრებდნენ, რაც კარგად აქვს აღწერილი XXს-ის დასაწყისის ქართველ მწერალს ი. გრიშაშვილს.



გრ. გაგარინი XIX გრავიურა „თბილისი“




ვ. დუკეტი 1855წ. „თურქული აბანო“

თბილისის გოგოირდის აბანოების სიმრავლე განმაპირობებელია ამ მიკროუბანში არსებული წყალქვეშა წყაროები, რომელთა სამკურნალო-ბალნეოლოგიურ თვისებებზე უამრავი ნაშრომია შექმნილი და სწორედ ეს თავისებურება წარმოადგენს აბამოთუბნის მიზიდულობის მთავარ პირობას.



XIX საუკუნეში ამ მინერალურ წყაროებს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა და ყველა გზამკვლევი, რომელიც რუსეთის იმპერიაში გამოდიოდა, ზედმიწევნით აღწერდა წყაროთა თვისებებს და აბანოების სამკურნალო დანიშნულებას. ეს მასალა გამოქვეყნებულია გრ. მოსკვინის მიერ დაბეჭდილ „კავკასიის გზამკვლევში“.



113

Минеральные источники.

Горячіе сѣрные источники (съ темп. 22°—37° R. и съ слѣд. составомъ: сѣрно-кисл. и углекисл. соли натра, повар. соль, углекисл. изв., хрящевикъ, органич. вещ., *барежинъ* и *иногат.* полич. слободн. сѣроводор. газы и пр.) дали извѣстность Тифлису съ древнѣйшихъ временъ и могли бы при своемъ рациональномъ устройствѣ послужить къ обращенію его въ важную бальнеологическую станцію *). Но воды эти расположены въ старой части города, гдѣ пребываніе больныхъ при настоящихъ условіяхъ не можетъ быть обставлено сколько-нибудь гигіенически правильно. При баняхъ состоятъ туземные терщики, оригинальные пріемы которыхъ такъ картинно описаны еще Пушкинымъ въ его «Путешествіи въ Эрзерумъ».

Наибольшимъ количествомъ минеральныхъ солей отличаются бани „Гогило“, на Авлабарѣ, въ ложбинѣ на лѣв. бер. Куры, и недалеко отъ нихъ.—И. А. Читахова, въ Собач. дер. Солей этихъ въ „Гогило“ вчетверо больше,


*) По этому вопросу городскимъ обществомъ, управленіемъ состоялось трехдневный проектъ.


114

тѣмъ въ другихъ источникахъ, вслѣдствіе чего оно пріобрѣло уже характеръ лѣчебнаго мѣста, посѣщаемаго страдающими ревматизмомъ, нервными болѣзнями пр.


Воды этихъ бань были изслѣдованы и оказались, что темп. ея=26° R. и что, будучи сѣрнистой, вода эта, при соприкосновеніи съ воздухомъ, обнаруживаетъ запахъ сѣроводорода, слегка желтѣетъ и мутится. Химическимъ анализомъ найдено остатка въ 10 тыс. част воды при 100° С.—11,03, изъ которыхъ особенно много хлористаго натрія (2,95), кремнез. кисл. (2,93) и органическихъ вещ. (2.25). Въ баняхъ—3 отд. *N*-ра, и въ 60 и., 80 и. и 1 р. и кромѣ того, 1 общ. отд.

По порученію городской бальнеологической комиссіи въ 1912 г. Радіологической лабораторіей одесскаго отдѣленія Императорскаго Русскаго Техническаго Общества было произведено изслѣдованіе радіоактивности Тифлисскихъ минеральныхъ источниковъ. Измѣренія производились при помощи прибора фонтактоскопа и велись такимъ образомъ, что на результаты изслѣдованія исключительное вліяніе оказывала растворенная въ водахъ эманація радія. Радіоактивность выражалась въ единицахъ Махе. Для устраненія потерь эманаціи изслѣдованія производились у выходовъ источниковъ, въ немногихъ случаяхъ вода для изслѣдованія могла быть взята непосредствен-


115

но изъ источника, въ большинствѣ мѣстъ пробы приходилось брать изъ кранокъ въ баняхъ, образующихъ искусственные выходы водъ, проходящихъ часто длинный путь по трубамъ. Въ случаяхъ обнаруженія, что радіоактивность превышаетъ 1 единицу Махе производились контрольныя измѣренія.

	Темпе-ратура.	Радіоактив-ность.
Источникъ бани Арутинскаго (проба взята изъ трубы въ банѣ).	42° С.	1,18 ед. мах.
Источникъ бани Орбеліани (проба взята изъ крана въ банѣ).	39,8° „	0,68 „ „
Источникъ бани „Ирикаія“ кранъ въ такъ назыв. „Шахтаузѣ.	44° „	0,60 „ „
Источникъ въ баняхъ Мирзоева (проба взята изъ люка въ дворѣ бани)	47° „	0,44 „ „
Источникъ бани „Ирикаія“ (начало его на правомъ берегу Дабахани, проба взята изъ крана)	42° „	0,31 „ „
Источникъ на правомъ берегу Дабахани.	40° „	0,28 „


116

Малый источникъ бани Мирзоева (кранъ изъ общихъ мужскихъ банихъ).	46° С.	0,24 ед. мах.
Источникъ бани Сумбатова (краны №№ 1).	42° „	0,20 „ „
въ общихъ мужскихъ	39,8 „	0,17 „ „
Источникъ бани Цовьянова (горячій источникъ (смѣсь воды 2 источ. проба изъ крана).	42° „	0,06 „ „
Теплый источникъ (кранъ въ баняхъ).	27° „	1,53 „ „
Теплый сѣрный источ. бани Орбеліани.	24°,0 „	2,77 „ „


Примѣч.: Газы изъ воды радіоактивны и образуютъ индукцію типа радія.

Источникъ бани „Гогило“ кранъ въ баняхъ трубы подвергаются натрѣву	34° „	0,33 „ „
Источникъ бани Читахова въ максимѣ;	32° „	1,23 „ „
проба изъ смѣси водъ.		
Та же вода изъ трубы въ баняхъ	30° „	0,61 „ „

XIX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს დედაქალაქის თერმული წყლების პირველი საფუძვლიანი გამოკვლევა ჩაატარა გერმანელმა გეოლოგმა, კავკასიის ცნობილმა მკვლევარმა ვილჰელმ აბიხმა. სწორედ მან დაგვიტოვა ამ ადგილის გეოლოგიური აღწერილობა და აღნიშნა თბილისის მინერალური წყაროების სამკურნალო მიზნით გამოყენების მიზანშეწონილობა. მოგვიანებით, თბილისის თერმული წყლების მაღალი თერმული ეფექტიანობა მრავალი კლინიკური თუ ექსპერიმენტული დაკვირვებებით დადასტურდა, რაც საფუძვლად დაედო 1938 წელს თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის დაარსებას.



ამ დროისთვის დედაქალაქში ცნობილი იყო მინერალური წყლის 35-მდე ბუნებრივი გამოსავალი, რომელთა საერთო დებიტი დღე-ღამეში 1 300 000 ლიტრს შეადგენდა. სამკურნალო დაწესებულების გახსნას წინ უძღოდა ერთი მეტად საინტერესო პროექტი: კურორტის ერთ-ერთ დამაარსებელს, მიხეილ ზანდუკელს, განზრახული ჰქონია, გოგირდის წყაროების ირგვლივ, ორთაჭალის მიმდებარე ტერიტორიაზე, მოეწყო საკურორტო ზონა, რომელშიც თბილისის ბოტანიკური ბაღიც შევიდოდა. მისი თხოვნით 1932 წელს ცნობილმა ქართველმა მხატვარმა, სიდამონ ერისთავმა, პროექტიც კი შექმნა, მაგრამ, სამწუხაროდ, მისი განხორციელება მეორე მსოფლიო ომის დაწყების გამო ვერ მოხერხდა. დღეს კურორტის ტერიტორია 400 ჰექტარს მოიცავს.



ჩრდილო-აღმოსავლეთითა და აღმოსავლეთით მას ესაზღვრება მდინარე მტკვარი და 300 არაგველის ბაღი, დასავლეთიდან და სამხრეთ-დასავლეთიდან - თბილისის ბოტანიკური ბაღი, ხოლო სამხრეთიდან - თაბორის შემაღლება და კრწანისი.


ინტერნეტსაიტზე ვკითხულობთ, რომ: „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი არის ბუნებრივი ფაქტორებით - სამკურნალო - მინერალურ-გოგირდიანი წყლითა და სამკურნალო ტალახით (გამოიყენება კუმისის ტალახი) აღჭურვილი თანამედროვე კეთილმოწყობილი სამკურნალო დიაგნოსტიკური და სარეაბილიტაციო დაწესებულება. აქ კვალიფიციური სპეციალისტების მეთვალყურეობითა და თანამედროვე სადიაგნოსტიკო აპარატურის გამოყენებით ბუნებრივი ფაქტორებისა და მედიკამენტების შერწყმის საფუძველზე ტარდება მკურნალობისა და რეაბილიტაციის კურსი. აქვე ფუნქციონირებს კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიის, რეაბილიტაციისა და სამკურნალო ტურიზმის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი“, თუმცა, რეალობაში ბალნეოლოგიური ცენტრის შენობის ინტერიერის დიზაინი და თავად სერვისების მდგომარეობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ამ მიმართულების მსოფლიო მიღწევებს და

სრულიად არ შეესაბამება თანამედროვე მაღალხარისხიანი კურორტის მოთხოვნებს, რაც აისახება კიდევაც ბალნეოლოგიურის რენტაბელობასა და მის მიმართ ტურისტულ ინტერესზე.

მკურნალობის სახეობები: მინერალური წყლის აბაზანები, შესხურება, ჰიდროთერაპია; ტალახის აბაზანები, აპლიკაციები, ტამპონები; წყალქვეშა და მშრალი დაჭიმვის პროცედურები; მასაჟები, მათ შორის, ცერებრული დამბლით დაავადებული ბავშვებისთვის; პასიური კლიმატოთერაპია. კურორტზე გამოიყენება ახტალისა და კუმისის სამკურნალო ტალახები.


სამკურნალო ჩვენებები: სახსრების ქრონიკული დაავადებები (რევმატული, ინფექციური, ტრავმული, ენდოკრინული), გულ-სისხლძარღვთა და პერიფერიული ნერვული სისტემების დაავადებები, ქრონიკული გინეკოლოგიური დაავადებები, სხვადასახვა წარმოშობის კუნთების, მყესების ანთება.

ბალნეოლოგიურის შენობა 1934-35წწ. დაპროექტდა ქ. თბილისის არქიტექტურულ სახელოსნოში იმდროს ტიფლისის - Тифсовет-თან არსებულ საპროექტოში. მისი ხელმძღვანელი გახლდათ სახელგანთქმული თბილისელი არქიტექტორი მიხეილ გიორგის ძე კალაშნილოვი, რომელიც ხელმძღვანელობდა თავდაპირველ პროექტს საკავშირო არქიტექტორ ჟიდკოვსკისთან ერთად.



თავდაპირველი პროექტის ხელწერა 40-იანი წლების მიხ. კალაშნიკოვის შემოქმედებისთვის არის დამახასიათებელი ზოგადი „სტალინური“ არქიტექტურის ფარგლებში გამოკვეთილია ამ ავტორის განსაკუთრებული სიყვარული კლასიკური – ბერძნულ-რომაული დეტალებისადმი. ზოგადად კალაშნიკოვის სტილი სადა,


ლაკონური და ამავე დროს საზეიმოა, რაც ზუსტად ემთხვევა ამ დაწესებულების მიმართებას. ერთი მხრივ, ის სამედიცინო მიმართების არის, მაგრამ იმავდროულად, ზოგადად აბანოებისა, იქნება ეს ბერძნულ-რომაული, თუ თბილისური თერმების, სალაღობო განწყობილებასაც ითავსებს.




ამ განწყობას ქმნის როგორც ფასადზე გამოყენებული კორინთული კოლონების რიგი, ასევე იატაკების მოზაიკური მოპირკეთება და თავად სააბაზანოების მარმარილოს შიგთ ვსი. უნდა აღინიშნოს, რომ ომის შემდგომი პერიოდისათვის, ქვეყნისთვის დიდი ფუფუნება იყო ასეთი დიდი ხარჯის გაწევა ბალნეოლოგიური კურორტისათვის, რომელიც რამოდენიმე მილიონი რუბლი დაჯდა.

ბალნეოლოგიური კურორტის განვითარების მეორე ეტაპი უკავშირდება 1953წ. რეკონსტრუქციას, რომლის დროსაც პროექტს ხელმძღვანელობს არქიტექტორი ი. ჩხენკელი. მის ჯგუფში შედიან არქიტექორები და კონსტრუქტორები - ხარაშვილი, გორსკი და გიორგაძე. ამ რეკონსტრუქციის მიზანი იყო უკვე აშენებული ბალნეოლოგიურის ფუნქციური გამართვა, რაც გამოიყენებოდა გოგირდის წყლის ნაკადის გაზრდაში და მისი ტემპერატურის ხელოვნურად შენარჩუნებაში. ამისათვის კი, პროექტის ფარგლებში შემუშავდა ახალი ტექნიკური სადგურების - წყლის რეზერვუარის, გამაცხელებელი დანადგარის, ცალკე მდგომი სასადილო ბლოკის, სამრეცხაოს და სხვა დამხმარე ნაგებობების განთავსების პროექტი.

პროექტში ასევე გათვალისწინებული იყო ეზოში ვივარიუმის განთავსება, რომელშიაც მიმდინარეობდა ცდები ცხოველებზე - თაგვებზე, ძაღლებზე და ბაყაყებზე. სხვენის ნაწილში ბალნეოლოგიურ კურორტს დაემატა საოპერაციო დარბაზი და სხვა სამედიცინო დანიშნულების კაბინეტები.




1958-63წწ. განხორციელდა შენობის კიდევ ერთი რეკონსტრუქცია ჩაუტარდა, რომლის დროსაც მასზე დაშენდა ერთი სართული. ამ პროექტის მთავარი არქიტექტორი გახლდათ ი. ზაალიშვილი, არქიტექტორიების ჯგუფში შედიოდნენ: ხარაშვილი, ჩუბინიშვილი, კლიმიაშვილი და სიდოროვი. საინტერესოა, რომ 1958 წლის მასალის მიხედვით, არქ. ჩხენკელი არამიზანშეწონილად მიიჩნევს ბალნეოლოგიურის შენობაზე სართულის დაშენებას, რადგანაც შენობას აღენიშნება მრავლობითი ბზარები, ამასთან, ამავე არქიტექტორის აზრით, ასეთ რთულ კონფიგურაციის შენობაზე, რომლის ყველა ნაწილი ურთიერთთანაფარდია, სართულის დაშენება საკმარიად საფრთხილო საქმეა, მაგრამ როგორც ჩანს, 1963 წლისთვის ტექნიკური შეუსაბამობები აღმოფხვრილი იქნა და უკვე 1963 წელს მოხდა შენობის ამაღლება ერთი სართულით (მესამე ვარიანტის მიხედვით).



ეს პროექტი ინახება სცსა-ს ტექნიკურ განყოფილებაში და მოიცავს 1935-48წწ. ასამდე ფურცელ გრაფიკას და ორმოც ფურცლამდე ტექსტობრივ ნაწილს. ყველა ეს პროექტი დაცულია ერთიან ფონდში და მათი შეპირისპირება და შედარება ერთმანეთთან საბოლოოდ დაადგენს თავდაპირველი და რეკონსტრუირებული ნაწილების თანაფარდობას არსებულ შენობაში.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ უკანასკნელ ათწლეულში შენობაზე კიდევ განხორციელდა სახეცვლა, რომელიც ძირითადად შეეხო მის ინტერიერს და ასე ვთქვათ, ტურისტების მოზიდვის მიზნით განხორციელდა.



გეგმებზე დაფერილია სწორედ აუთენტური ნაწილი, რომელიც უმძიმეს ფიზიკურ მდგომარეობაშია და სასწრაფო რეაბილიტაციას ითხოვს, აღსანიშნავია აგრეთვე, რომ უკანასკნელ ათწლეულში შენობაზე განხორციელდა შეუსაბამო სახეცვლა, რომელიც ძირითადად შეეხო მის ინტერიერს და ასე ვთქვათ, ტურისტების მოზიდვის მიზნით განხორციელდა. უდავოა, რომ ამ რეკონსტრუქციის შედეგი







ყოვლად სავალალოა, რადგანაც ის სრულიად შეუსაბამოა როგორც ძეგლის აუთენტური იერსახისა, ასევე ზოგადად, ე.წ. „სტალინური“ არქიტექტურის მონუმენტურ-კლასიცისტური ხასიათისა და იაფფასიანი ფსევდოჩინური ეგზოტიკის მატარებელია. წარმოდგენილ გეგმებზე ეს ნაწილები თეთრად არის დატოვებული.

ყოვლად აღმაშფოთებელია ძეგლის ექსტერიერზე არსებული მონუმენტური სვეტების ტანის შეღებვა წითელი ფერით, რაც არა მხოლოდ ამ კონკრეტული ნაგებობის, არამედ ირგვლივ არსებული ისტორიული ქალაქის შეურაწყოფაა და ნამდვილად გასაკვირია ქალაქის შესაბამისი სამსახურების უმოქმედობა.





როგორც გამოჩნდა, კალაშნიკოვის პროექტის გეგმარება ლაკონური და ამავე დროს ფუნქიურად სრულიად გამართლებულია. ცენტრალური პორტიკის ორივე მხარეს ოთხკუთხა გალერეებით შემოსაზღვრული ატრიუმები მდებარეობს, რომლებიც თავდაპირველ პროექტში აქტიურად იყო ჩართული როგორც რეკრიაციული ზონა.



ამ შიდა ღია სივრცეების ირგვლივ, ვითარდება ბალნეოლოგიური საავადმყოფოს სააბაზანო ოთახებისა და სხვა სამკურნალო ბლოკების ორი რიგი. მარცხენა, შემონახული ფლიგელის დერეფნები და ოთახები გვიჩვენებს არქიტექტორების თავდაპირველ ჩანაფიქრს. საკმარისად ერთფეროვანი გალერეების სივრცეები ორფრთიანი პანელებისაგან შემდგარი ხის კარებით ნაწევრდება.





გალერეების კედლები სადად არის გალესილი, სამაგიეროდ, მოზაიკით არის დეკორირებული მარმარილოს იატაკები. საერთოდ, მთელ შენობაში იატაკების დეკორი ღირებული და მნიშვნელოვანია და მოზაიკისა და ფერადი მარმარილოს ფილებისგან შედგება. ამასთან, ზოგან ეს ნახატი მნიშვნელოვნად არის დაზიანებული და რესტავრაციას მოითხოვს.





ზემოთ აღნიშნული გალერეების ორივე მხარეს სააბაზანო ოთახებია განთავსებული, ასევე მნიშვნელოვანია ამ ოთახებში შემორჩენილი მარმარილოს

აბაზანები და მარმარილოს მოპირკეთება კედლებზე, თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ მარმარილოსგან განსხვავებით, ფერადი ქვის (გრანიტის?) მოპირკეთება მთლიანად შეჭმულია გოგირდის აირით, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ქვა ვერ უძლებს ამ ზემოქმედებას და მისი აღდგენა მიზანშეწონილი არ არის.





შედარებით კარგ მდგომარეობაშია ყოფილი სავარჯიშო დარბაზები, დიდი ზომის ოთახები, რომლებიც მაღალი სვეტების რიგით არის გადატიხრული და დიდი ზომის ფანჯრებით შიდა ბაღისკენ არის მიმართული. ორი ასეთი დარბაზი შეღებილი და შეუსაბამოდ „გალამაზებულია“, ორი კი, თავდაპირველ ჩანაფიქრს ემთხვევა.







დაშენებული სართული ნაკლებად გამართულია არქიტექტურულად, თუმცა, დღევანდელი გადასახედიდან იქაც არის საინტერესო დეტალები, კერძოდ, მინა-

ბლოკით აშენებული კედლები, რომელთა ჩართვა თანამედროვე ინტერიერში საინტერესო იქნება.



ასევე გასაფრთხილებელია ბალნეოლოგიურის შენობაში არსებული არტეფაქტები: ისტორიული ფოტო, სარკე, აბაზანები, ტყავის სავარჯიშო სავარძელი და განსაკუთრებით ძველი კიბე, რომელიც ჯერ კიდევ კალაშნიკოვის დროინდელია.








სამწუხაროდ, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე ეს გამორჩეული ნაგებობა უკიდურესად მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაშია, რაც ერთი მხრივ აუთენტური ბლოკების მოუვლელობითა და უფუნქციობით, ხოლო მეორეს მხრივ, ბოლო დრომდე მოქმედი ბლოკების სრულიად შეუსაბამო რეაბილიტაციით არის განპირობებული.





განსაკუთრებით მძიმეა შენობის სარდაფის სართულის და სხვენის სართულის მდგომარეობა. გამოსაცვლელია როგორც ხის ელემენტების – ალათების და კარების უმეტესობა, აგრეთვე იატაკის და ჭერის მასალა.





შენობის უმოქმედო ოთახებში შენახულია ძველი კარ-ფანჯარა, რომელიც გამოდგება შაბლონების დასამზადებლად, რადგანაც თავდაპირველი ალათების ნახატი არ უნდა შეიცვალოს. ღირებულებას მოკლებულია ოთახებს შორის არსებული დროებითი ხის (დრანკა) ტიხრებიც, რომელთა უმეტესობა გამოუსადეგარია.







რეკომენდაციები ბალნეოლოგიური კურორტის მთავარი შენობის და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია-ადაპტაციის პროექტისათვის

ბალნეოლოგიურის მთავარი შენობის სახელოვნებათმცოდნეო და სარესტავრაციო-არქეოლოგიური კვლევის შედეგად დადგინდა აუთენტური ნაწილებისა და ელემენტების ნუსხა, რომელთა აღდგენა და კონსერვაცია აუცილებელია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაცია-ადაპტაციის პროცესში.

- ცენტრალურ ფასადზე აღსადგენია შენობის საფასადე კომპოზიციის მთლიანობა, კერძოდ: ცოკოლის თავდაპირველი ბაზალტის მოპირკეთება, მოსახსნელია გვიანდელი შეღებილი ფენა.



- აღსადგენია ცენტრალური შესასვლელის წინ არსებული პორტიკის რკინა-ბეტონის კოლონების ბაზები, რომლებიც ასფალტით არის დაფარული.





- აღსადგენია მთავარ ფასადზე გამავალი კარ-ფანჯრის ალათები შენარჩუნებული ფანჯრების მიხედვით.





- აღსადგენია ცენტრალური და გვერდითი შესასვლელის ღიობის შემომსაზღვრელი პროფილირებული კარნიზები. ღიობებში ჩასასმელია თავდაპირველი ან შესაბამისი სტილისტიკის სადარბაზო კარები.




- აღსადგენია ცენტრალური ნაწილის წინ არსებული შეტყუპებული კორინთული სვეტების თავდაპირველი იერსახე, კერძოდ: ჩამოსახსნელია შეუსაბამო წითელი საღებავის ფენა და დასადგენია თავდაპირველი ფერი.




- შესასვლელ ნაწილში აღსადგენია ქვის საფეხურების მარში და სარდაფების განასიავებელი ღიობები.





- ქუჩისკენ გამავალ ნაწილზე აღსადგენია გარე კეთილმოწყობის აუთენტური ელემენტები, თავდაპირველი სარდაფების განათების ღიობები ტროტუარში, ფასადების წინ არსებული მოპირკეთებული ტროტუარის ხაზი, თუჯის ჩამოსხმული ღობე ტუმბოებითურთ და განათების თავდაპირველი ელემენტები.





- უკანა ფასადზე აღსადგენია თავდაპირველი ღია ეზოს სტრუქტურა თავისი არქიტექტურული ელემენტებით. აუცილებელია ეზოს იატაკის კეთილმოწყობა და მის ფარგლებში არსებული მრავალწლიანი ხეების შენარჩუნება ადაპტაციის შემთხვევაში.



- ვინაიდან შიდა ეზოების სტრუქტურა, აუზის დიზაინი და არქიტექტურული დეტალები ძირითადად თავდაპირველია, აღსადგენია შიდა ლანდშაფტური

დიზაინი, კერძოდ: ბილიკების ბორდიურები, დასალევი წყლის შადრევნები, აუზის საყვავილე კლუმბების ბორდიურები და ღია ტერასების იატაკები. აუცილებელია ამ ლანდშაფტური მონაკვეთების მაქსიმალური შენარჩუნება, ამასთან არსებობს მათი ადაპტაციის შესაძლებლობა ნაწილობრივ ზამთრის ბაღებად გადაკეთების შემთხვევაში.





- შენობის ინტერიერში გასაწმენდია და გამოსავლენი სარდაფის სივრცეში არსებული კედლების აგურისა და ბაზალტის ნატეხების შერეული წყობა.







- სარდაფის სივრციდან გასატანია უფუნქციო კომუნიკაციები, რაც შესაძლებლობას იძლევა ამ სივრცის მოსახერხებელი ადაპტაციისთვის.
- ძეგლის ინტერიერში შემონახული ძველი მოზაიკური იატაკები შემონახულია თავდაპირველი ნახატის მიხედვით. ვესტიბიულში ცემენტის ხსნარზე ფერადი მარმარილოს ნატეხებისგან შედგენილი კომპოზიციები აღსადგენია. გარემონტებულ ფლიგელებში დაგებული მეტლახისა და გრანიტის ქვეშ გამოსავლენია თავდაპირველი მოზაიკური იატაკები.






- სარეკრიაციო დარბაზებში ჩამოსახსნელია შეუსაბამო საღებავის ფენა და გამოსავლენია თავდაპირველი ინტერიერის ყველა დეტალი ფანჯრების, ალათების ჩათვლით.





- ექსტერიერსა და იტერიერში არსებული ჭერების ღირებული არქიტექტურული ელემენტები: კესონები და ვარდულები, რომლებიც გადარებილია და შეუსაბამო ორნამენტით არის დაფარული, დასაყვანია თავდაპირველ ნახატზე.








- დერეფნებში არსებული სავენტილაციო შახტები, რომლებიც ბადეებით არის დაფარული, სასურველია აღდგეს და ადაპტირდეს გასათბობ სისტემაში.




- ბალნეოლოგიურის სააბაზანო ოთახებში ჯერ კიდევ არსებული მარმარილოს აბაზანები და კედლის მარმარილოს დეკორი კონსერვაციას და რესტავრაციას მოითხოვს. ამ ელემენტების შენარჩუნება აუცილებელია ძეგლის ნამდვილობისათვის.




- შენობის სივრცეში რამდენიმე ლითონის მოაჯირიანი კიბეა, რომლებიც აუცილებლად აღსადგენია.

- თავდაპირველი კარ-ფანჯრების ტიპები მრავლად არის შემონახული ძეგლის ადაპტაციასთან მიმართებაში სასურველია ამ კარ-ფანჯრების ნახატის

მაქსიმალური შენარჩუნება, თუმცა შესაძლებლად მიმაჩნია თავდაპირველი ხის ფაქტურების ნაწილობრივ სახეცვლა თანამედროვე მაღალხარისხიანი მასალით.





- შენობის ინტერიერში შენახული ძველი ავეჯის ნიმუშები სასურველია ჩართული იქნას ადაპტაციის პროექტში.



- ბალნეოლოგიურის შენობის ადაპტაციისას შესაძლებლად მიმაჩნია მასზე ერთი სართულის დამატება თანამედროვე არქიტექტურული გადაწყვეტით, ადაპტაციისას მეტად უნდა იქნას გამოკვეთილი თავდაპირველი აუთენტური ფორმა. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ დაშენება იყოს მსუბუქი და ითვალისწინებდეს როგორც ისტორიული შენობის იერსახეს, ასევე მის უკან არსებული ძველი ქალაქის განაშენიანების ხასიათს.

ხელოვნებათმცოდნე
ლალი ანდრონიკაშვილი